

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ წესდება

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი საადმინისტრაციო დაწესებულება.

2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

3. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საანგარიშო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4. ცენტრი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეიძლება გამოვიდეს მოსარჩელედ/მოპასუხედ სასამართლოში.

5. ცენტრის იურიდიული მისამართია : ლანჩხუთი, გორგასალის ქ. N11.

**მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები**

1. ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;

ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება, მოზარდთაობაში მასობრივი სპორტის განვითარება;

გ) ცენტრში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატების და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.

დ) ცენტრის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) ქალაქის და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.

ე) თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;

2. თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ცენტრი ეტაპების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ სასპორტო-საწვრთნელ საქმიანობას სპორტის რამოდენიმე სახეობაში:

ა) პირველი (დაწყებითი) ეტაპის –საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება მოიცავს: